ლიტერა

№2, 2016

მარიამ წიკლაური

მუხა

– მუხა, მუხა,
რატომ წუხხარ,
სუსხმა ხომ არ შეგაწუხა?
მალე მოვა გაზაფხული,
ისმის მისი თბილი სუნთქვა.
ამოძვერით თოვლიდანო,
მზემ ყვავილებს ასე უთხრა.

მაკა გოგუა

გაზაფხული

ნუ ახანებ, ხეში ჩადექ, წყალო,
მოგვეწყინა ეს ავდარი, დარო,
კამკამა ხმით იჩუხჩუხე, წყალო,
აგერ ნუღარ იზუზუნებ ქარო.

ჩიტბატონა შინდის ტოტზე გალობს,
დაგვენახვე, მზეო, სადა ხარო?
აყვავილდი, ჩემო მთავ და ბარო,
გაზაფხულით მინდა გავიხარო!

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ცქვიტო

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თეთრი, ფუმფულა დედა კურდღელი, თვალებწითელა; გრძელ, დაცქვეტილ ყურებში ვარდისფერი სინათლე გასდიოდა. რამდენი ბოცვერი გაზარდა, გაისტუმრა თავ-თავიანთ სოროებში და დაასახლა.

ერთი ნაბოლარა, ცოტათი სუსტი ბოცვერი თავისთან დაიტოვა. ეშინოდა, არაფერი მოუვიდეს, ავად არ გახდესო. უფრთხილდებოდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს აწოვა ძუძუ.

მოძლიერდა ბოცვერი, გამხიარულდა, სულ დედის უბეში ძვრებოდა და ეალერსებოდა.

ისეთი ლამაზი დაცქვეტილი ყურები ჰქონდა, დედამ ცქვიტო შეარქვა. ცხოვრობდა დედა-შვილი ტკბილად; ნეკერს აკნატუნებდნენ. დროდადრო სტაფილოსა და კომბოსტოსაც გაჰკრავდნენ კბილს სოფლელების ბოსტანში. ჯაჭვით დაბმული ავი ძაღლისა ძალიან ეშინოდათ – პატრონები ღამით აუშვებდნენ-ხოლმე და მაშინ, აბა, ვინ გაბედავდა სხვის ბოსტანში შესვლას?

დადგა შემოდგომა, დაუბერა ცივმა ქარმა. ააფრიალა ყვითელი, უნაბისფერი, წითელი ფოთლები და მიწას დააკრა თითქოს. სწორედ ამ ტყის ხალიჩაზე უყვარდა ცქვიტოს გორაობა და ხტუნაობა, დედა კურდღელი კი იჯდა სოროს წინ და ტკბებოდა შვილის ცქერით.

ერთხელ საოცრება მოხდა. დედა კურდღელმა მოიწყინა, მოიბუზა და გამხმარ ნეშოში ჩაწვა. გულს შემოეყარა ბოცვერს – ვაიმეო, – შესძახა.

– დედა, რა მოგივიდაო?

– რა ვიცი, შვილო, რაღაც ცუდად ვარ, შეიძლება დამგრილაო.

მიხტა, მოხტა ცქვიტო და გადაწყვიტა, დედისთვის ეშველა – მასხრობა ხომ არ არის, მშობელი გახდა ავად.

– დედი, ხომ არაფერი გინდა... მითხარი, ახლავე მოგიტანო, – უთხრა ალერსით ცქვიტომ დედას. კურდღელს გაეღიმა, გულში გაიფიქრა: ამან რა უნდა მიშველოს, ერთი სუსტი ბაჭიაარ. მაგრამ, ნურას უკაცრავად, არაფერი სუსტი აღარ იყო ცქვიტო. იცით, უკვე დავაჟკაცებაც დაეტყო, მაგრამ დედა რისი დედაა, შვილი მუდამ პატარა ჰგონია, არა?

– იცი, რა, დედა – მოიფიქრე, რა გესიამოვნება: ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო თუ ნორჩზე ნორჩი ნეკერი?

– გენაცვალოს დედა, აი, სტაფილო კი მეამებაო, – ისე თქვა დედამ, როგორ წარმოიდგენდა, რომ ცქვიტო სტაფილოს მომტანი იყო. ბაჭია უკანა ფეხებზე შედგა, წინა თათებით ტაში შემოჰკრა, დედას აკოცა და სოროდან შურდულივით გავარდა.

მირბოდა ცქვიტო სოფლისაკენ და თან დარდი გულს უღრღნიდა, ვაითუ, სტაფი-

ლო არსად იყოსო. ერთ ბოსტანში შეძვრა – სტაფილოს კვალი ცარიელი დაუხვდა, მოსავალი აეღოთ. მეორე ბოსტანშიც აჩიჩქნილი კვალი დახვდა, ახლა მესამისკენ მოკურცხლა. ღობეში გაძვრა და სტაფილოს კვალს წაადგა – კუთხეში სტაფილოს მწვანე ქოჩორი შენიშნა. ეტყობა, სათესლედ დატოვესო, გაიფიქრა. მიადგა ცქვიტო კვალს, თათებით თხარა და თხარა, ამოთხარა. მიწიანს რას დაეძებდა, წაავლო პირი სტაფილოს, მოკურცხლა, ღობეში გაძვრა და ყეფაც შემოესმა. ყეფაც არის და ყეფაც... ისეთი გაავებული იყო ის ქოფაკი ძაღლი, ჯაჭვით რომ ჰყავდათ ხოლმე დაბმული, თითქოს ყაჩაღს წააწყდაო. – ვაიმე?! – გაიფიქრა ცქვიტომ, – ნამდვილად აშვებულია, ისე ახლოს ისმის ყეფაო.

ბედნიერმა, ის იყო, უკვე ტყეს შეაფარა თავი და გაიხარა. ხან ერთ ხეს ამოეფარა, ხან მეორეს, ბუჩქებშიც შეძვრა, ძაღლი კი სულ ახლოს და ახლოს ყეფდა. უეცრად რას ხედავს: – დათვის ბუნაგი! – შეჰყვირა, ისკუპა და შიგ შეხტა.

დათუჩა ჩალაბულაში თბილად მოკალათებულიყო – ეტყობოდა, ზამთრის ძილისთვის ემზადებოდა, მარცხენა თათს გემრიელად ილოკავდა.

– ვაი! – შესძახა დათვმა, – რა იყო, ცქვიტო, აქ რა გინდა?

– ძაღლი მომდევს, ძია დათვო, მიშველე! – თათებში მოიქცია სტაფილო ცქვიტომ.

– მოდი, გადამახტი ზურგს უკან, ჩაიმალე, გაისუსე! – ისე ჩუმად უთხრა ძია დათვმა, თითქოს ძაღლი იქვე იყო. ცქვიტოსაც მეტი რა უნდოდა, ისკუპა და დათვს ზურგს უკან ჩაყურყუმალავდა. სწორედ ამ დროს გაგიჟებული ძაღლი ყეფა-ყეფით შემოვარდა ბუნაგში.

– რა იყო, ავო ძაღლო, რა გჭირს? – შეეკითხა დათუჩა.

– რა მჭირს და ქურდი კურდღელი გამექცა და იმის საძებნელად გამოვიქეცი.

– ეე, შე კაი ძაღლო, მერე ჩემთან კურდღელს რა უნდა? – ისევ გაილოკა თათი დათვმა.

– რა ვიცი, – თქვა ძაღლმა და დასასვენებლად უკანა ფეხებზე დაჯდა, თუმცა ყურები მაინც დაცქვეტილი ჰქონდა.

– ყური მიგდე. იცი? იმ საწყალ კურდღელს დედა ჰყავს ავად. იმისთვის იქურდა, თორემ ცქვიტოს ქურდობა ვის გაუგონია, შე კაი ძაღლო, ა? – ჩაეკითხა დათვი.

ძაღლმა თვალები მილულა, მოიხედა, თითქოს შერცხვა.

– რა თქვი? დედა ჰყავს ავად და იმისთვის მიჰქონდა? – ჩაფიქრდა ძაღლი. – არ ვიცოდი ეს ოხერი და რა ვქნა? ალალი იყოს სტაფილო, თუ დედისთვის, ისიც ავადმყოფისთვის მიჰქონდა, – ყურები ჩამოყარა ქოფაკმა. დათვს მიუბრუნდა, შეწუხებისთვის ბოდიში მოუხადა და დარცხვენილი წაძუნძულდა.

ცქვიტო გამოძვრა, დათვს ყურებს შუა აკოცა, მადლობა გადაუხადა და გაიქცა.

მირბოდა ცქვიტო და ფიქრობდა – რა კეთილი ყოფილა ავი ძაღლიო.

მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ბონდო მაცაბერიძე



ლექსი ძილის მოყვარულ ბიჭებზე

კაკ, კუკ,
კაკ, კუკ – კაკუნის ხმა
ისმის სისხამ დილით.
მზე ფანჯრებში იჭვრიტება,
– არ უხდება კარგ ბიჭებსო
შუადღემდე ძილი!

კაკ, კუკ,
კაკ, კუკ – გაიღვიძე!
კაკ, კუკ – ეური უგდე:
ეს – მერცხლებმა შენს აივანს
მიაშენეს ბუდე!

ბებია, მე და ქათამი ფაფიკო



წავაბრძანეთ ფაფიკო
გასაყიდად ბაზარზე,
ათი დღეა, კვერცხს არა სდებს
გადაეწეო კაკანზე.

დაგვეხვივნენ მუშტრები:
მერემე თუ ხაბაზი,
– ეგ დედალი, ბიძიკო,
ღირსო სამი აბაზი!

ბებიამ თქვა, მივცეთო ეგ საქორე, ეგო!
სხვაგან ეოფნას არ ერჩივნა, ჩვენთან კვერცხი ედო?!.
იეოს აწი, სხვისი ეზოს „მოღუღუნე გვრიტად“,
ვკითხოთ მაინც, კვერცხუქმობა სამ აბაზად ღირდა?

მხატვარი თეა მიქაია

ბესიკ კეკელიძე

თავმომწონე ბონტონა

ერთხელ ქალაქში ხმა დაირხა, ამა და ამ დღეს ძაღლების გამოფენა-დათვალიერება უნდა ჩატარდესო. ყველას საკუთარი ოთხფეხა მეგობრის გამარჯვება სურდა, ამიტომაც დაფაცურდნენ, ზოგმა სპეციალური შამპუნი შეიძინა, რათა ძაღლს ბეწვი უფრო ბზინვარე გამოჩენოდა, ზოგმა დალაქებს მიაშურა და თავისი ცუგრია გაკრიჭ-გამოკრიჭა, ზოგმა სპეციალური ტანსაცმელი და ლამაზი ბაფთებიც იყიდა. მოკლედ, ვისაც საშუალება ჰქონდა, გამოფენისთვის არაფერს იშურებდა, ვისაც არა და, რა უნდა ექნა.

საღამოობით პატრონებს ძაღლები სკვერში გაჰყავდათ, თავად ბაღის სკამებზე ჩამოსხდებოდნენ, საყელოდან თასმებს ახსნიდნენ და თავისუფლად სეირნობის საშუალებას აძლევდნენ. ეს ყოველდღე მეორდებოდა და ამ ოთხფეხა ცხოველებმაც სწორედ იქ, სკვერში გაიცნეს ერთმანეთი.

– ჩემმა პატრონმა ისეთი, ისეთი შამპუნი მიყიდა, როცა მაჭყუმპალავებს, მზესავით მიბზინვარდება ბეწვი და იცოდეთ, ყველას გაჯობებთ, – სიამაყით აუწყა მეგობრებს მუშტისხელა ძაღლმა, რომელსაც, არ ვიცი, რატომ, მაგრამ სასწაული სახელი – ბონტონა ერქვა.



– მე კი სალონში წამიყვანა. ფრჩხილებიც დამაჭრეს და თავზე ბალანიც მოდაზე შემკრიჭეს, – დრუნჩი დაბლა დახარა თეთრმა პუდელმა, რათა ვარცხნილობა ყველას დაენახა.

– კიდევ, კიდევ დაწიე თავი, ვერ ვხედავ, – თათის წვერებზე წამოიწია ბონტონა და პუდელს კეფაზე შეაცქერდა, – უფ, ეგ რა არის? დიდი არაფერია. მე ისეთი კაბა მიყიდა, როცა მოვიზომე და სარკეში შევიჭყიტე, პირდაპირ გავოცდი, ისე დამხატა. და ეგ შენი კოტორა თავი გამოფენაზე ვის რაში აინტერესებს? – ცხვირი აბზიკა ცუგუნიამ.

– ეჰ, – ამოიოხრა ცისფერთვალება ჰასკიმ, – ჩემს პატრონს საშუალება არა აქვს, უჭირს, იძახის, გამოფენის წინ კარგად დაგვარცხნი და ეგ არისო...

– ჰოდა, არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს, – წამოიწკავლა ბონტონამ, – მე ჩემები დღეში რამდენჯერმე მვარცხნიან, მაგრამ მარტო დავარცხნა რას გიშველის, თუ ბეწვმა არ იზიბზიბა და მოდურად არ გამოეწყვე, – თავი უფრო ამაყად აწია, – ჩემი ფრჩხილის ღირსი არც ერთი არა ხართ, – ინდაურივით გაიფხორა და პატრონს ბედნიერმა გახედა.

– მე რამდენიმე დღეა საჭმელიც არ მიჭამია, ძროხასავით ბალახს ვძოვ და თავი ასე გამაქვს, – ნაღვლიანად ჩაილუღლუღა მდელოზე წამოწოლილმა უპატრონო, გოლიათური აღნაგობის ქართულმა ნაგაზმა, – იცით, რა მაინტერესებს და სულ მინდა გკითხოთ, ნეტავი გამოფენაზე თუ დამიშვებენ?

– ვის, შეენ? – დამცინავად ჩაიწკავწკავა ბონტონამ, – ერთი შენი თავი სარკეში დაგანახა, მოუვლელობისგან ბალანი როგორ ჩაგკუშტებია, ფერდები ჩაგცვე-

ნია, თვალებიც ჩაგსისხლიანებია და ეგ მოჭრილი ყურებიც როგორ გამახინჯებს. შენი ხალხში გამოჩენა როგორ შეიძლება, ყველას თავს გვჭრი.

ნაგაზი შერცხვენილი წამოდგა, ზემოდან ნაღვლიანად დახედა ბალახებში ჩაკარგულ ნამცეცა ძაღლს და იქაურობას ზანტად გაშორდა.

– მე გამოფენა სრულებით არ მაინტერესებს, დღე და ღამე იმაზე ვოცნებობ, გაიხსნას ნადირობის სეზონი და ჩემმა პატრონმა მწყერზე სანადიროდ წამიყვანოს. თოფის სროლის ხმა ძილშიც კი მესიზმრება. ვხედავ, ყანაში მწყერს როგორ ვეძებ, ვეძებ, ბოლოს ვპოულობ, ნაბულს ვაკეთებ და ველოდები ბრძანებას – ეცი! როგორც კი პატრონი მიბრძანებს, მე მწყერს ავაფრენ, შემდეგ გასროლის ხმა – ბახ, ბახ, და ჩამოვარდნილ ნანადირევს ვპოულობ, კბილებს ფრთხილად ჩავავლებ და სიამაყით მიმაქვს პატრონთან, რომელიც აუცილებლად შემაქებს, მომეფერება კიდეც, – წაიტრაბახა ჩალისფერმა პოინტერმა ჩარამ.

– ავ, ავ, – წვრილ ხმაზე წაიყეფა ბონტონამ, – შე ნადირმჟლეტო, რა ველურიც იყავი, იგივე დარჩი. შენი გამოსწორება არ იქნება. რაღა დროს ნადირობაა, ჩემი პატრონი მაღაზიაში ყველაფერს ყიდულობს, არც რძე მაკლია, არც ხორცი, მოვლაზე რომ აღარაფერი ვთქვა, – უფრო გაიჯგიმა და დრუნჩი აპრიხა.

ასეთ კამათში გადიოდა დღეები. ბონტონა ბაქიბუქს განაგრძობდა – თავისი თავი ისე უყვარდა და მოსწონდა, რომ სხვაში დადებითს ვერაფრით ხედავდა. ბოლოს აღარავის ესალმებოდა, დაიჯგიმებოდა თავაწეული, გაფხორილი, რომ იტყვიან, თავზე ბუზს არ ისვამდა.

და აი, ჩემო პატარა მკითხველო, დადგა გამოფენის ჩატარების დღეც. ყველამ თავისი ძაღლი გააკოხტავა, გაალამაზა და შესაფასებლად წაიყვანა.

უპატრონო ქართული ნაგაზი თავისით წაძუნძულდა იქ და ისიც იმიტომ, რომ აინტერესებდა, ღირსეულის ტიტულს ვინ მოიპოვებდა, საგამოფენო მოედანთან ახლოს, სადაც ძაღლები წრეზე უნდა

ჩამოეტარებინათ, უკანა თათებზე ჩამოჯდა და დაღლილობისგან ენაგადმოგდებული იქაურობას შეაცქერდა. კისერზე ბაფთაშებმული, ლამაზად გამოწკეპილი ბონტონა, რომელსაც ბეწვი მართლა გამორჩეულად უბზინავდა, პატრონმა ხელში ატატებული მოიყვანა.

დაიწყო კონკურსი. საყელურზე თასმა შებმულმა ძაღლებმა შემფასებლების წინ წრეზე იწყეს სვლა. ერთ წრეს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, როცა ჟიურის ერთი წევრი მამაკაცი წამოდგა და ქართულ ნაგაზს მიუახლოვდა:

– ვისია ეს ძაღლი? – ხმამაღლა იკითხა და შეგროვილ ხალხს თვალი მოატარა, – ნუთუ პატრონი არ ჰყავს? – გაოცებულმა წარმოთქვა, ჩაიმუხლა და თავზე ხელი გადაუსვა, – მოდი, ბათურას დაგარქმევ, – ხელით ისევ მიეფერა. ჯიბიდან საყელური ამოიღო, კისერზე შეაბა.

ბათურას ადამიანის მიფერება ესიამოვნა, საპასუხოდ ხელი აულოკა.

– შეხედე, რა გონიერია, – მამაკაცმა მოქაჩა და თან გაიყოლა. ვეება ძაღლი უცნობს მიენდო და ძუნძულით გაჰყვა.

სხვა ძაღლებთან ერთად წრეზე ბათურაც რამდენჯერმე ჩამოატარეს. ჟიურიმ, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე, მას გამარჯვება ერთხმად მიანიჭა, ხოლო ჩვენი გაპრანჭულ – გაზიბზიბებული ბონტონა, უჯიშობის გამო, კონკურსიდან საერთოდ მოხსნა.

ჩემო პატარა მეგობრებო, იცით, ეს ამბავი რატომ მოგიყევით? მინდა, გახსოვდეთ, რომ თავმდაბლობა ერთ-ერთი დიდი სათნოებაა და, როცა გაიზრდებით, იყავით თავმდაბლები, რათა თქვენით ძალიან ვიამაყოთ.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ხითხით ელ

* * *

ბებო, მოდი, ვითამაშოთ.
– აბა, მოდი.
– მე დედა ვიქნები, შენ – შვილი.
– მერე?
– აბა, შვილო, აალაგე სათამაშოები!

* * *

– დედა, მგონი, ბებო ვეღარ მცნობს?
– რატომ?
– როცა სტუმრად მივდივართ, სულ მეკითხება, „ნეტა, ეს ვინ მოსულაო?“

უფრო ახალს

ანნა კანდელაკი



შენ იცი,
რომ ზამთარში
ჩიტები
თბილ ქვეყნებში
მიფრინავენ?

ჩემი უფროსი
დაიკო
თვალებს რომ იხატავს,
პირს
თევზივით აღებს!

ალბათ, ზღარბის
საყვარელი
მცენარე
კაკტუსია.

მაია კარსელი

მხიარული გამოცანა-რითმოცანები

ტყეში შემხვდა □□□□□□,
მორცხვად თავი დახარა,
გაზაფხულის შემოსვლა
მან პირველმა მახარა!

პირველ ფოთლებს დაინახავ,
თუკი დააკვირდები:
გაზაფხულის მზემ გაათბო,
გაიშალნენ □□□□□□□□!

□□□□ ასე მიგალობს:
– გაზაფხული მოვიდა!
მომენატრა სამშობლო,
ჩამოვფრინდი შორიდან!

ზურაბ მამულაშვილი

გოგამ ფეხი აიდგა

გოგამ ფეხი აიდგა
კი არ დადის, გარბის,
უკან არ იხედება
ბიჭი დარდიმანდი,
ბებო ლოცავს –
გზა გქონდეს,
სულ ია და ვარდით.

ჯემალ დობორჯგინიძე

ჭიამაია

დამასველა წვიმამ,
წუხელ ქარიც ქროდა.
ახლა რაღად მინდა,
სოკოვ, შენი ქოლგა?

მხატვარი თეა მიქაია

იპოვე 8 განსხვავება

მხატვარი ნატალია კუცია

ბავშვთა ბიბლიოთეკა

რაღაც ხდება, პოლარულ ვარსკვლავს ვეღარ ვხედავ. კოსმოსში უნდა გავფრინდე.
კი მაგრამ, ფრთები არ გაქვს და როგორ გაფრინდები?

როგორ გეტყობა, წიგნების კითხვა რომ არ გიყვარს, მე ხომ მოჩვენება ვარ. სადაც მინდა, იქ გავფრინდები.
მეც მინდა კოსმოსში!

ჩუმ ზანზარა ჩალის კალათში ჩასვა და ხვნეშა-ხვნეშით გაფრინდა ცისკენ.

აააა, რა მეშველებაااა! – მოესმათ ამ დროს ტირილის ხმა. დიდი დათვის თანავარსკვლავედი შვიდივე ვარსკვლავით ტიროდა.

თავგადასავალი

მოსწი ბიდიან

ტექსტი: ლელა ცუცქირიძის
მხატვარი იულია ნიკოგოსოვა

ლია კოგალაძე

ფეხბურთი

თითქმის ოქროდ ფასობს წამი –
თავს არავინ ზოგავს,
ზღვას ჩამოჰგავს მოედანი
და ზღვასავით ბორგავს.
თავდამსხმელი გახლავთ მგელი,
მელაკუდა – მცველი,
სანაქებო ფორმაშია
ყველა ფეხბურთელი.
აქეთა კარს იცავს დათვი,
იქითა კარს – ხარი,
ყურცქვიტელას მარიფათი
თამაშს მატებს ხალისს.
ყველა ნემსის ყუნწში ძვრება,
ყველა ოფლად სკდება,
ყველას გუნდის გამარჯვება
და დიდება ნებავს.
თხას ფეხდაფეხ მისდევს ტურა,
მიქრის, როგორც ქარი,
ტოლს არ უდებს მურა ტურას –
დარტყმის ჯადოქარი!
გატყორცნილ ბურთს ეწირება
დათუჩელას კარი
და გუგუნებს სანუკვარი:
არის!..
არის!..
არის!..

მხატვარი
ლიკა გურგენიშვილი

მოამზადა
ბელა გველესიანმა

საბავშვო ზღაპრების გმირები და მათი რეალური პროტოტიპები

ზღაპრები ყველას უყვარს – ბავშვებსაც და დიდებსაც. უცნობ, სიკეთით სავსე სამყაროში მოხვედრა, სადაც ბევრი საოცრება გელის, სასიამოვნო გრძნობებს იწვევს. თანაც, ყველა ზღაპარს ხომ კეთილი ბოლო აქვს.

შენ, ალბათ, უკვე იცნობ ცნობილი საბავშვო ზღაპრების პერსონაჟებს: ვინი პუჰის მეგობარ კრისტოფერ რობინს; ალისას, საოცრებათა ქვეყნიდან; პიტერ პენს... მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ეს გმირები გამოგონილები კი არ არიან, ავტორებმა რეალური ბავშვების მიმსგავსებით „შექმნეს“.

ამჯერად ვინი პუჰისა და მისი მეგობრების რეალურ პროტოტიპებზე მოგითხრობთ.

კრისტოფერ რობინი

კრისტოფერ რობინი ინგლისელი მწერლის, ალან ალექსანდრ მილნის ვაჟი, ამ მწერლის მიერ ვინი პუჰის შესახებ შექმნილი ზღაპრების გმირია.

მილნების ოჯახში გოგონას გაჩენას ელოდნენ და, როცა ვაჟი დაიბადა, მას გოგონასავით ზრდიდნენ.

რობინი ძალზე კეთილი და მორცხვი ბიჭუნა იყო. დიდ დროს ატარებდა ძიძასთან, რადგან დედას და მამას მისთვის არ ეცალათ. იქნებ ამიტომაც, მამასთან განსაკუთრებული სიახლოვე არ ჰქონია, მხოლოდ ზრდასრულობის ასაკში დაუახლოვდა. კრისტოფერ რობინი სწავლობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.

ბავშვობაში რობინის საყვარელი სათამაშო ლონდონის სათამაშოთა ფაბრიკაში დამზადებული დათუნია იყო. სწორედ ეს დათუნია იქცა ბიჭუნას ერთადერთ მეგობრად და თანამოსაუბრედ, მოგვიანებით კი ის ვინი პუჰის შესახებ შექმნილი ზღაპრების გმირიც გახდა. პლუშის დათუნიას ბიჭუნა ედუარდს ეძახდა, მოგვიანებით კი ვინი პუჰი დაარქვა – ვინი ერქვა ყველაზე კეთილ დათუნიას, რომელიც ლონდონის ზოოპარკის ბინადარი იყო.

კრისტოფერ რობინი იზრდებოდა და მისი სათამაშოებიც უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. ბიჭუნას და ვინი პუჰის მეგობრები გახდნენ – ვეფხვი, ვირუკა და გოჭუნა, რომლებმაც მოგვიანებით ვინი პუჰის შესახებ შექმნილ წიგნებში გადაინაცვლეს.

ვინი პირველად კენგურუსთან
უნდა მივიდეს, მერე – იო-იოსთან,
იქედან გოჭუნას გაუვლის და მერე
ვეფხვს ესტუმრება. რა გზით უნდა
დაბრუნდეს უკან ვინი?



მხატვარი
როენა ფელეგია

მაკა კვაჭაძე

ცა

ცა ღრუბლებში გაეხვია,
ვარსკვლავები დაიხურა.
მერე შუქი ჩააქრო და
სიბნელეში გაიტრუნა.
დილით ადგა ალიონზე,
პირზე წვიმა შეიპკურა,
მთვარის ქუდი გვერდზე დადო,
მზის მანდილი მოიხურა.

ძოვდი

როგორც იქნა, თეთრი ციდან
თეთრმა ფიფქმა ჩამოთოვა,
ჩვენს რუხ ქალაქს, შეციებულს,
თეთრ დიდ საბნად დაათოვა.

ლამაზია თეთრი ციდან
თეთრი ფიფქის თეთრად თოვა
და თეთრ ნოხზე ბილიკებად
ნაკვალევის გადათოვა.

ცხვარი

ცხვარს უნდოდა ცაში ფრენა,
სხვა ქვეყნებში გადაფრენა.
ღმერთმა ნატვრა აუსრულა,
გადაიქცა ღრუბლის ქულად.
ცაში არის ახლაც სტუმრად
და დაფრინავს ქულა-ქულა.

მხატვარი
ანნა კანდელაკი

ჩემი კლასის კედლები

ჩემს სკოლაში ძალიან ბევრი ნივთია. ზოგი ნივთი ტირის, ზოგ ნივთს რაღაც უხარია, ზოგიც რაღაცას ნატრობს. აი, კარადა ყოველდღე ნატრობს თუ როდის დამთავრდება გაკვეთილები, რადგან ის დამძიმებულია და ტირის. ის ბედნიერი ხდება, როცა ბოლო გაკვეთილის ზარი დაირეკება. სკოლის მერხი გულწრფელია, რადგან მას რომ შეხედავ, მიხვდები თუ როგორია მოსწავლე, რომელიც ამ მერხს უზის. მერხს ერთი სული აქვს, როდის გაწმენდენ და გაასუფთავებენ. სკამი ძალიან მხიარულად არის გაკვეთილზე – ის ჩანთას ეთამაშება. ჟურნალი ძალიან კაეშნიანია, დარდობს თუ როგორი ნიშნებით შეივსება იგი. ის მოწყენილია, როდესაც შიგ დაბალ ნიშანს ჩაწერენ, იმიტომ რომ მას მოსწავლეები უბრაზდებიან. ის უხსნის, რომ მისი ბრალი არ არის, მაგრამ არავინ არ უსმენს. ამიტომ მას მეგობრები აკლდება, მაგრამ მერე მაინც ემატება, იმიტომ, რომ თუ კარგ ნიშანს მიიღებენ, გაბრაზებულებიც აღარ არიან ჟურნალზე, ამიტომ ჟურნალის მეგობრების რაოდენობა ცვალებადია. ცხრილი ჭიკარტით კედელზეა მინარცხებული. დაიღალა მხოლოდ კედელზე ყოფნით, ერთი სული აქვს, ვინმე როდის ამოიკითხავს, იმიტომ, რომ მიჩვეულია ბავშვებთან კონტაქტს. დაფას ერთი სული აქვს, როდის წაშლიან. ცარცი და დაფა განუყრელი მეგობრები არიან. დაფას და ცარცსაც არ უყვართ დასვენება. ანუ ზარის დარეკვა. მას ბავშვები დაჯღაბნიან და გულს ატკენენ, მაგრამ დაფის მოვალეობა ეს არის და ის ამას უძლებს. ჩანთას პირი დაუღია და ელოდება, თუ როდის დაუბრუნებენ თავის ძველ ფორმას.



ქ. თბილისის 53-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

ანა კაპანაძე

დილა

უსაყვარლეს ჟურნალ „დილას“ და მის შემოქმედებით კოლექტივს

ბავშვების საყვარელ ჟურნალ „დილასა“ და მის მკითხველს ვულოცავთ ახალ წელს. დაე, ეს წელი წარმატებების, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს „დილის“ მომლოდინე ადამიანებისათვის. მკითხველთა სიმრავლეს გისურვებთ.

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლელა გაფრინდაშვილი და მოსწავლეები: ზურაბ კაპანაძე, გვანცა ჯიქიძე, მიხეილ, ლიზი, გოგა გაფრინდაშვილები, ნინი და ლიზი მეცხოვრიშვილები, ტარიელ ჭიოკაძე, გიორგი ღუღუნიშვილი, თამთა კაციტაძე და გიგა ჩუბინიძე

ემზარ კვიტაიშვილი

მეზობელი ფრთოსანი საქმიანობს

ყვავმა ჯოყრებს*, დაგრეხილს,
ხავსიც ჩაუფინაო,
ბუდეს შევკრავ, ზამთარში
მეც მექნება ბინაო.

დაღლას აღარ დავეძებ,
რისი ღალა*, რა ღალა –
ერთადერთი კვერცხიდან
გამოვჩეკავ ბახალას.

ყინვაც ვერ შემაშინებს,
წვიმავ, ქარის გნიასო!..
ჩიტის რძეს არ მოვაკლებ
დედისერთას, ჭკვიანსო.

გაიზრდება,
დადგება
ჩემნაირი ყვანჩალა
და გვექნება საფრენად
ხან მინდორი, ხან ჭალა.

ჯოყარი – გამხმარი ღერო ბალახისა.
ღალა — გამოსავალი, ბარაქა.

მხატვარი
ელენე ვარამაშვილი

იპოვეთ



მხატვარი **ნატალია კუცია**

მანანა ქურდაძე

გამრჯე ციყვი

ტყეში ციყვმა, ფუმფულამ,
დაალაგა ფუღურო,
შეაგროვა გირჩები,
თხილი, ჰანტა, კაკალი,
ხიდან ხეზე ხტუნვისას
გაადინა ტაჰანი.
მოუყვანეს ექიმი –
მელაკუდა კუდგრძელა,
ჰაციენტი გასინჯა,
წოლა გამოუწერა.
მოუწია ამ ზამთარს
ციყუნიას, ლოგინში
ახრამუნოს გირჩები
გაზაფხულის ლოდინში.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ლოგიკური ამოცანა

ვარჯიშის დროს მორბენალი სტადიონის გარშემო წრის გარბენას 80 წუთს ანდომებს. საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით იგივე მანძილს 1 წუთსა და 20 წამში ფარავს. რაშია საქმე?



მხატვარი თეა მიქაია

ربيع الضحك



კუდა-კუდა ამბები

მხატვარი ნაფალია კუცია

ISSN 0132-5965

9 770132 596009

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: ანა ხვიჩიასი
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com,** facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი